თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბჭოს

2015 წლის 27 თებერვლის სხდომის ოქმი #2

სხდომას ესწრებოდნენ: ფაკულტეტის დეკანი თემურ ბერიძე, ფაკულტეტის აკადემიური პერსონალი – 22, სტუდენტები – 5, სულ – 28 წევრი.

დღის წესრიგი

1. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის კურსდამთავრებულთათვის დიპლომის დანართისთვის სავალდებულო მონაცემების-ხარისხი/კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების რეკვიზიტების დადგენა/აღდგენის შესახებ;

/თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანის მოადგილე მ. ჩავლეიშვილი/

ქ–მა მ. ჩავლეიშვილმა საბჭოს წევრებს გააცნო საკითხი ყოფილი კომერციისა და მარკეტინგის ფაკულტეტის მაგისტრატურის 2000 წლის საბირჟო საქმისსპეციალობების კურსდამთავრებულ***კახაბერ ქაფიანისთვის***, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტუს 2008 წლის კურსდამთავრებულ ***შოთა გოგიტაურის*** და ***გაგა გოგნაძის*** და ყოფილი საქართველოს ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის 2006 წლის კურსდამთავრებულ ***მარიკა გიორხელიძის*** დიპლომის დანართის ფორმისთვის განსაზღვრული სავალდებული მონაცემების - ხარისხის/კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების რეკვიზიტების (ოქმის თარიღისა და ნომრის) დადგენა/აღდგენის შესახებ.

ქ–მა მ. ჩავლეიშვილმა საბჭოს წევრებს მოახსენა, რომ უნივერსიტეტს განცხადებით მომართეს:

1. მოქალაქე ნინო ღვთისიაშვილმა, რომელიც ითხოვს შვილის, ***კახაბერ ქაფიანის*** მაგისტრის დიპლომის დანართს ცნობის სახით, რომელშიც დაფიქსირებული იქნება კვალიფიკაციის მინიჭების შესახებ ბრძანებისა და სახელმწიფო საგამოცდო კომისიის შემაჯამებელი სხდომის ოქმის ნომერი და თარიღი;
2. ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ფინანსები და საბანკო საქმის სპეციალობის 2008 წლის კურსდამთავრებულ ***შოთა გოგიტაურმა*** დიპლომში არასწორად მითითებული დაბადების თარიღის გამო და ***გაგა გოგნაძემ*** დიპლომის დაკარგვის გამო;
3. ყოფილი საქართველოს ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის ბიზნესისა და მართვის ფაკულტეტის ფინანსები, საბანკო და საგადასახადო საქმის სპეციალობის 2006 წლის კურსდამთავრებულ ***მარიკა გიორხელიძემ*** დიპლომის შეცვლის თაობაზე.

აღნიშნულიდან გამომდინარე, მათ სახელზე უნდა გაიცეს ახალი დიპლომები, რომელიც საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 22 ივნისის №126/ნ ბრძანების თანახმად, ითვალისწინებს აკადემიური ხარისხის/კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების

თარიღისა (რიცხვი, თვე, წელი) და ნომრის მითითებას. ამასთან დაკავშირებით, თსუ იურიდიული დეპარტამენტის განმარტებით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2009 წლის 24 მარტის №162 ბრძანების გამოცემამდე არსებული ნორმატიული აქტებით დამტკიცებული დიპლომის ფორმები არ ითვალისწინებდა აკადემიური ხარისხის/კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების (ოქმის) თარიღისა და ნომრის მითითების ვალდებულებას. მხოლოდ, ზემოაღნიშნული ბრძანების შემდეგ გახდა სავალდებულო დიპლომის ფორმაში აღნიშნული რეკვიზიტების მითითება. აქედან გამომდინარე, ამჟამად მოქმედი დიპლომის ფორმისთვის განსაზღვრული სავალდებულო მონაცემების დადგენის მიზნით, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის 2014 წლის 16 აპრილის №55/01-01 ბრძანების საფუძველზე სავალდებულოა დიპლომში მისათითებელი, სავალდებულო რეკვიზიტების დადასტურება ან/და აღდგენა.

დიპლომის ფორმისთვის განსაზღვრული სავალდებულო მონაცემების დადგენის მიზნით ჩატარდა ადმინისტრაციული საქმისწარმოება და დადგინდა შემდეგი:

1. ყოფილი კომერციისა და მარკეტინგის ფაკულტეტის მაგისტრატურის 2000 წლის კურსდამთავრებული ***კახაბერ გურამის ძე ქაფიანი,*** როგორც საარქივო მასალებიდან ირკვევა 1998 წელს ჩაირიცხა თსუ კომერციისა და მარკეტინგის ფაკულტეტის საბიუჯეტო განყოფილების მაგისტრატურაში საბირჟო საქმის სპეციალობით (ბრძანება №4/786, 28.09.1998).

   2000 წელს დიპლომების გაცემის სარეგისტრაციო ჟურნალში დიპლომი №00702, სარეგისრტრაციო ნომრით №01/244 რეგისტრირებულია კახაბერ ქაფიანის სახელზე. მის სახელზე გაცემული დიპლომით დასტურდება, რომ კახაბერ ქაფიანი „**1998 წელს ჩაირიცხა და 2000 წელს დაამთავრა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კომერციისა და მარკეტინგის ფაკულტეტის მაგისტრატურის სრული კურსი სპეციალობით საბირჟო საქმე და დაიცვა სამაგისტრო ნაშრომი თემაზე: „ფასიანი ქაღალდებით საბირჟო ვაჭრობის ორგანიზაცია“, სახელმწიფო საგამოცდო კომისიის 2000 წლის 14 ივნისის გადაწყვეტილებით კახაბერ ქაფიანს მიენიჭა ეკონომიკის მაგისტრის აკადემიური ხარისხი“.**

   თსუ არქივში კახაბერ ქაფიანის სახელზე ინახება მაგისტრატურაში მისი სწავლის დამადასტურებელი შემდეგი დოკუმენტები:

   * მაგისტრის სასწავლო ბარათი, რომელშიც დაფიქსირებულია სამაგისტრო ნაშრომის დაცვის შეფასება;
   * უცხო ენაში (რუსული ენა) სახელმწიფო საგამოცდო კომისიის სხდომის ოქმი;
   * დიპლომის ასლი;
   * დიპლომების გაცემის სარეგისტრაციო ჟურნალი.

   2000 წლის მაისიდან 2001 წლის მაისამდე საუნივერსიტეტო ბრძანებებში კახაბერ ქაფიანისთვის კვალიფიკაციის მინიჭების შესახებ ინფორმაცია არ ფიქსირდება, ხოლო 2000 წლის 14 ივნისის სახელმწიფო საგამოცდო კომისიის შემაჯამებელი სხდომის ოქმი, რომლის მიხედვითაც კახაბერ ქაფიანს მიენიჭა

ეკონომიკის მაგისტრის აკადემიური ხარისხი და გაიცა დიპლომი თსუ არქივში და ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე არ იძებნება. ოქმის თარიღი დაფიქსირებულია კახაბერ ქაფიანის სახელზე გაცემულ დიპლომსა და დიპლომების სარეგისტრაციო ჟურნალში.

საკითხის შესწავლისას გაირკვა შემდეგი: კომერციისა და მარკეტინგის ფაკულტეტის სახელმწიფო საგამოცდო კომისიის 2000 წლის 14 ივნისის შემაჯამებელი სხდომის გადაწყვეტილებით (ოქმი, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, არ იძებნება) საბირჟო საქმის სპეციალობის გარდა, ეკონომიკის მაგისტრის აკადემიური ხარისხი მიენიჭათ მარკეტინგის, საერთაშორისო ვაჭრობის ორგანიზაციისა და საქონელმცოდნეობის ეკონომიკის სპეციალობების კურსდამთავრებულებს (აღნიშნული თარიღი დაფიქსირებულია მათ სახელზე მაგისტრის დიპლომების გაცემის სარეგისტრაციო ჟურნალში), თუმცა, თსუ-ს ბრძანებებში კვალიფიკაციის მინიჭების შესახებ ინფორმაცია, კახაბერ ქაფიანის მსგავსად ამ სპეციალობების კურსდამთავრებულთათვისაც არ იძებნება.

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე მოძიებული იქნა ყოფილი კომერციისა და მარკეტინგის ფაკულტეტის დეკანის, დოცენტ ი. ადეიშვილის, ბრძანება (უფრო სწორედ ალბათ ბრძანების პროექტი), რომელიც სავარაუდოდ საფუძველი იქნებოდა აღნიშნული ფაკულტეტის მაგისტრატურის კურსდამთავრებულთათვის ხარისხის/კვალიფიკაციის მინიჭების ოქმის შესაქმნელად. ბრძანებაში დაფიქსირებული 14 სპეციალობიდან 5 სპეციალობის *(1. გემოვანი პროდუქტების ექსპერტიზა და კომერცია საერთაშორისო ვაჭრობაში; 2. სახამებლის, თაფლის, შაქრისა და საკონდიტრო ნაწარმის ექსპერტიზა და კომერიცა საერთაშორისო ვაჭრობაში; 3. რძის, რძის ნაწარმის და ცხომების ექსპერტიზა და კომერცია საერთაშორისო ვაჭრობაში; 4. ხორცის, თევზის, კვერცხის და მათი გადამუშავების პროდუქტების ექსპერტიზა და კომერცია საერთაშორისო ვაჭრობაში; 5. მარცვლეულის, ხილ-ბოსტნეულის და მათი გადამუშავების პროდუქტების ექსპერტიზა და კომერცია საერთაშორისო ვაჭრობაში)*მაგისტრატურის კურსდამთავრებულებს კვალიფიკაცია მიანიჭეს 2000 წლის 21 ივნისის ოქმი №6-ით (თსუ რექტორის ბრძანება №4/554, 4.07.2000), დანარჩენ 5 სპეციალობას *(1. ანტიკვარული საქონლის ექსპერტიზა და მარკეტინგი საერთაშორისო ვაჭრობაში; 2. სამრეწველო პროდუქციის სასაქონლო ექსპერტიზა და მარკეტინგი საგარეო ვაჭრობაში; 3. სამრეველო წარმოების და საქონლის მარკეტინგი; 4. სამრეწველო პროდუქციის სტანდარტიზაცია და ხარისხის მართვა; 5. საერთაშორისო მარკეტინგი და საგარეო კომერციული ურთიერთობები)* - 2000 წლის 24 ივნისის ოქმი №5-ით (თსუ რექტორის ბრძანება #4/681, 14.07.2000), ხოლო დანარჩენი 4 სპეციალობის *(1. საბირჟო საქმე; 2. მარკეტინგი; 3. საერთაშორისო ვაჭრობის ორგანიზაცია; 4. საქონელმცოდნეობის ეკონომიკა)* მაგისტრატურისკურსდამთავრებულების თაობაზე კვალიფიკაციის მინიჭების ოქმი და ბრძანება არ იძებნება.

ამასთან აღსანიშნავია, ისიც, რომ ფაკულტეტის მიერ მოძიებულ „ბრძანების პროექტში“ დაშვებულია ტექნიკური უზუსტობები, კერძოდ, საბირჟო საქმის სპეციალობის მაგისტრანტი კახაბერ ქაფიანის ნაცვლად დაფიქსირებულია კახაბერ გურმის ძე გაფიანი, მარკეტინგის სპეციალობის მაგისტრანტი ქეთევან

თარალაშვილის ნაცვლად – ქეთევან თათარაშვილი. თსუ-ს კომერციისა და მარკეტინგის ფაკულტეტის მაგისტრატურაში 1998 წელს არ ჩარიცხულა და 2000 წელს არ დაუმთავრებია კახაბერ გურამის ძე გაფიანს და ქეთევან თათარაშვილს.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით 2014 წლის 11 ივლისს სასწავლო პროცესის მართვის დეპარტამენტმა წერილობით (წერილი №21884/02, 11.07.2014) მიმართვა თსუ იურიდიული დეპარტამენს, რათა **„მოეწოდებინათ დასკვნა არის თუ არა შესაძლებელი ამ საკითხზე მუშაობის დროს აღმოჩენილი დოკუმენტების საფუძველზე საბირჟო საქმის სპეციალობის 2000 წლის მაგისტრატურის კურსდამთავრებულ კახაბერ გურამის ძე ქაფიანის კვალიფიკაციის მინიჭების ოქმის აღდგენა“.**

თსუ იურიდიული დეპარტამენტმა წერილობით აცნობა პასუხი თსუ სასწავლო პროცესის მართვის დეპარტამენს, რომელშიც მიუთითებს შემდეგს: **„კორესპონდენციაში აღნიშნული პრობლემის გადაწყვეტისთვის აუცილებელია, შესაბამისმა ფაკულტეტმა მაგისტრანტის კახაბერ ქაფიანის სასწავლო ბარათში, რომელშიც დაფიქსირებულია მის მიერ შესასწავლი საგნებისა და სამაგისტრო ნაშრომის დაცვის შეფასება, ასევე საქმეში არსებული სხვა დოკუმენებიდან გამომდინარემ იმსჯელოს, თუ რამდენად იძლეოდა ხსენებული დოკუმენტები კახაბერ ქაფიანისთვის ეკონომიკის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების შესაძლებლობას, რაც მოცემულ შემთხვევაში საქმეში არსებული სხვა მასალებიდან გამომდინარე დაადასტურებდა აკადემიური ხარისხის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების შესაძლო არსებობას ან არ არსებობას. როგორც კორესპონდენციიდან ირკვევა სასწვლო დეპარტამენტმა ერთხელ უკვე მიმართა ფაკულტეტს აღნიშნული თხოვნით, თუმცა, პასუხად წარმოდგენილ კორესპონდენციაში აღწერილია მხოლოდ კახაბერ ქაფიანის შესახებ ფაკულტეტზე მოძიებული დოკუმენტაცია. ამდენად, აღნიშნული საკითხის გადაწყვეტა შესაძლებელია მხოლოდ ზემოაღნიშნული სრულყოფილი ადმინისტრაციული წარმოების ჩატარების შედეგად.“**

იურიდიული დეპატრტამენტის პასუხის შედეგად, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტმა შესაძლებლობის ფარგლებში ჩაატარა ადმინისტრაციული საქმისწარმოება. კერძოდ, მოიძია და გამოიკვლია დიპლომების გაცემის სარეგისტრაციო ჟურნალში მითითებული 2000 წლის 14 ივნისის შემაჯამებელი სხდომის ოქმის საფუძველზე 4 სპეციალობის *(1. საბირჟო საქმე; 2. მარკეტინგი; 3. საერთაშორისო ვაჭრობის ორგანიზაცია; 4. საქონელმცოდნეობის ეკონომიკა)* კურსდამთავრებულთა პირადი საქმეები და დაადგინა:

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კომერციისა და მარკეტინგის ფაკულტეტის მაგისტრატურაში 1998-1999 სასწავლო წელს შესაბამისი რეიტინგული მონაცემების მიხედვით:

- საბიუჯეტო განყოფილების საბირჟო საქმის სპეციალობაზე ჩაირიცხნენ კახაბერ ქაფიანი და ირაკლი კასრაძე (თსუ რექტორის ბრძანება №4/786, 28.09.1998). დიპლომების გაცემის სარეგისტრაციო ჟურნალში და მათ სახელზე გაცემულ დიპლომებში დაფიქსირებული ინფორმაციით

მაგისტრის ხარისხი მიენიჭათ 2000 წლის 14 ივნისის სახელმწიფო საატეტსტაციო კომისიის შემაჯამებელი სხდომის გადაწყვეტილებით;

- საბიუჯეტო განყოფილების მარკეტინგის სპეციალობაზე ჩაირიცხნენ დავით ალიმბარაშვილი, ეკატერინე გაჩეჩილაძე, ქეთევან თარალაშვილი, გიორგი იმნაძე და ნიკოლოზ ქართველიშვილი, ხოლო არასაბიუჯეტო განყოფილების მარკეტინგის სპეციალობაზე დავით პაპიაშვილი და კონსტანტინე მიქიაშვილი (თსუ რექტორის ბრძანება №4/786, 28.09.1998 და №4/939, 21.10.1998). დიპლომების გაცემის სარეგისტრაციო ჟურნალში და მათ სახელზე გაცემულ დიპლომებში დაფიქსირებული ინფორმაციით 2000 წლის 14 ივნისის სახელმწიფო საატესტაციო კომისიის შემაჯამებელი სხდომის გადაწყვეტილებით მაგისტრის ხარისხი მიენიჭათ დავით ალიმბარაშვილს, ეკატერინე გაჩეჩილაძეს, ქეთევან თარალაშვილს, გიორგი იმნაძეს, ნიკოლოზ ქართველიშვილს და კონსტანტინე მიქიაშვილს;
- საბიუჯეტო განყოფილების საერთაშორისო ვაჭრობის ორგანიზაციის სპეციალობაზე ჩაირიცხნენ ნინო დათუკიშვილი, გიორგი კუბლაშვილი, ეკატერინე მალაზონია და მარიამ ონიანი (თსუ რექტორის ბრძანება №4/786, 28.09.1998).დიპლომების გაცემის სარეგისტრაციო ჟურნალში და მათ სახელზე გაცემულ დიპლომებში დაფიქსირებული ინფორმაციით 2000 წლის 14 ივნისის სახელმწიფო საატესტაციო კომისიის შემაჯამებელი სხდომის გადაწყვეტილებით მაგისტრის ხარისხი მიენიჭათ ნინო დათუკიშვილს და გიორგი კუბლაშვილს;
- საბიუჯეტო განყოფილების საქონელმცოდნეობის ეკონომიკის სპეციალობაზე ჩაირიცხნენ ლია ბედოიძე, ზურაბ გიორგაძე, პეტრე როყვა და ზურაბ შინჯიაშვილი (თსუ რექტორის ბრძანება №4/786, 28.09.1998). დიპლომების გაცემის სარეგისტრაციო ჟურნალში და მათ სახელზე გაცემულ დიპლომებში დაფიქსირებული ინფორმაციით მაგისტრის ხარისხი მიენიჭათ 2000 წლის 14 ივნისის სახელმწიფო საატეტსტაციო კომისიის შემაჯამებელი სხდომის გადაწყვეტილებით.

საარქივო მასალებიდან წარმოდგენილი დოკუმენტების საფუძველზე დასტურდება ყოფილი კომერციისა და მარკეტინგის ფაკულტეტის საბირჟო საქმის სპეციალობის 2000 წლის მაგისტრატურის კურსდამთავრებულ კახაბერ ქაფიანის სწავლის ფაქტი, ამჟამად არ იძებნება 2000 წლის 14 ივნისის საატესტაციო კომისიის მიერ წარმოებული შემაჯამებელი სხდომის ოქმი და თსუ რექტორის ბრძანება, რომელიც გამოიცა აღნიშნული ოქმის საფუძველზე. აქედან გამომდინარე, მიზანშეწონილად მივიჩნიეთ ხარისხის/კვალიფიკაციის მინიჭების გადაწყვეტილებათა თარიღად პირობითად განისაზღვროს კახაბერ ქაფიანის დიპლომში მითითებული თარიღი 2000 წლის 14 ივნისი,ხოლო ნომრად 14 და ნომრის პირობითობის აღსანიშნავად დაემატება ასო „პ“.

2. ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის 2008 წლის კურსდამთავრებულები ***შოთა გოგიტაური*** და ***გაგა გოგნაძე*** მისაღები გამოცდების შედეგების საფუძველზე 2004 წელს ჩაირიცხნენ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ეკონომიკის ფაკულტეტზე,

დასწრებული სწავლების, არასაბიუჯეტო განყოფილების ფინანსები და საბანკო საქმის სპეციალობით (ბრძანება №4/963, 27.08.2004 და №4/1048, 21.09.2004). ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად თითოეულმა აითვისა 248 კრედიტი. თსუ რექტორის 2008 წლის 12 დეკემბრის №2017/01-04 ბრძანებით ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ფინანსები და საბანკო საქმის სპეციალობის 2008 წლის კურსდამთავრებულ შოთა გოგიტაურს და გაგა გოგნაძეს მიენიჭა ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის აკადემიური ხარისხი ფინანსისტის კვალიფიკაციით (თსუ რექტორის ბრძანება №2017/01-04, 12.12.2008 – საფუძველი: ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანის მ.შ. წარდგინება №23739/02, 28.11.2008).

ვინაიდან, თსუ რექტორის 2008 წლის 12 დეკემბრის №2017/01-04 ბრძანებით კურსდამთავრებულთათვის მინიჭებული კვალიფიკაციები არ შეესაბამებოდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 18 ნოემბრის №633 ბრძანებით დამტკიცებულ საქართველოს უმაღლესი განათლების ბაკალავრიატის სპეციალობათა ჩამონათვალში მითითებულ კვალიფიკაციას, ამიტომ თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბჭოს 2013 წლის 24 მაისის სხდომაზე ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა დააყენა საკითხი ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის 2007 და 2008 წლებში „ბიზნესის მართვის“ საბაკალავრო პროგრამების კურსდამთავრებულთათვის მინიჭებული ხარისხის კორექტირების შესახებ. საბჭომ დაადგინა, რომ „მოხდეს ბიზნესის მართვის საბაკალავრო პროგრამის №2017/01-04, 12.12.2008 წ. ბრძანებით კურსდამთავრებულებისთვის და ამავე ბრძანებით სხვა კურსდამთავრებულთათვის მინიჭებული ხარისხისკორექტირება და აღნიშნული ბრძანებით მინიჭებული „ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი“ შეიცვალოს ხარისხით „ბიზნესის მართვის ბაკალავრი“, ხოლო სწავლის დარგის მითითება მოხდეს კვალიფიკაციის მინიჭების პერიოდში მოქმედი წესის მიხედვით*(იხ. ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბჭოს სხდომის ოქმი №6, 24.05.2013)*.

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბჭოს 2013 წლის 24 მაისის (ოქმი №6) გადაწყვეტილების საფუძველზე ფაკულტეტმა სასწავლო პროცესის მართვის დეპარტამენტის სახელზე გააგზავნა წარდგინებები, რათა შეტანილი იქნას ცვლილებები „ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის 2008 წლის კურსდამთავრებულთათვის შესაბამისი აკადემიური ხარისხის მინიჭებისა და დიპლომის გაცემის შესახებ“ თსუ-ს რექტორის 2008 წლის 12 დეკემბრის №2017/01-04 ბრძანებაში ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სპეციალობის „ფინანსები და საბანკო საქმეში“ 2008 წლის კურსდამთავრებულთა სიაში შოთა გოგიტაურის და გაგა გოგნაძის ნაწილში, არასწორად მინიჭებული აკადემიური ხარისხის გამო, ბიზნესის ადმინისტრირების აკადემიური ხარისხის ნაცვლად მიეთითოს ბიზნესის მართვის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი.

თსუ რექტორის 2008 წლის 12 დეკემბრის №2017/01-04 ბრძანების საფუძველია ფაკულტეტის დეკანის მოვალეობის შემსრულებლის წარდგინება (№23739/02, 28.11.2008). ფაკულტეტზე არსებობს აღნიშნული წარდგინების ელექტრონული ვერსია, რომლითაც ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის

ფინანსები და საბანკო საქმის სპეციალობის 220 კურსმოსმენილს 2008 წლის 30 ივნისის საატესტაციო კომისიის გადაწყვეტილებით მიენიჭათ ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის აკადემიური ხარისხი ფინანსისტის კვალიფიკაციით *(იხ. თსუ რექტორის ბრძანება №2017/01-04, 12.12.2008).*

თსუ რექტორის №2017/01-04, 12.12.2008 ბრძანებაში მითითებული კურსდამთავრებულების პირად საქმეებში არსებული დოკუმენტაციით დასტურდება ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ფინანსები და საბანკო საქმის სპეციალობაზე აღნიშნული სტუდენტების სწავლის ფაქტი, ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მინიჭება შესაბამისი კვალიფიკაციებით და მათ სახელზე ბაკალავრის დიპლომების გაცემა.

ფაკულტეტზე არსებული წარდგინებების ელექტრონული ვერსიებიდან ირკვევა, რომ 2008 წელს, ფაკულტეტზე მოწვეული ოყო ორი საატესტაციო კომისია. 2008 წლის 14 აპრილს და 2008 წლის 30 ივნისს. ამჟამად, არ იძებნება 2008 წლის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საატესტაციო კომისიის მიერ წარმოებული ოქმები. აქედან გამომდინარე, მიზანშეწონილია ხარისხის/კვალიფიკაციის მინიჭების გადაწყვეტილებათა თარიღად პირობითად განისაზღვროს თსუ რექტორის მიერ აკადემიური ხარისხის მინიჭებისა და დიპლომის გაცემის შესახებ ბრძანების გამოცემის თარიღი, ხოლო ნომრად ბრძანების ნომერი ინდექსის გარეშე, რომელსაც წილადის შემდეგ ნომრის პირობითობის აღსანიშნავად დაემატება ასო „პ“.

3. ყოფილი საქართველოს ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის 2006 წლის კურსდამთავრებული ***მარიკა ლავრენტის ასული გიორხელიძე***, როგორც ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნიერსიტეტს ტურიზმის განვითარების ინსტიტუტის საარქივო მასალებიდან 2001-2002 სასწავლო წელს ჩაირიცხა საქართველოს სახელმწიფო კოოპერაციული ინსტიტუტის ეკონომიკის ფაკულტეტის დასწრებული, ფასიანი სწავლების ფინანსები, საბანკო საქმე და საგადასახადო საქმის სპეციალობაზე (ბრძანება №72/ს, §1, 12.08.2001). მარიკა გიორხელიძის პირად საქმეში დევს კურსიდან კურსზე გადაყვანის ბრძანებები:

* I კურსიდან II კურსზე გადაყვანის ბრძანება №70/სმ 26.10.2002 წ.;
* II კურსიდან III პირსზე გადაყვანის ბრძანება №37/ს, 08.07.2003 წ.;
* III კურსიდან IV კურსზე გადაყვანის ბრძანება №57/ს, 22.10.2004 წ.;
* IV კურსიდან V კურსზე გადაყვანის ბრძანება №36/ს, 25.07.2005 წ.

საქართველოს ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის ბიზნესისა და მართვის ფაკულტეტის „ფინანსები და საბანკო საქმის“ სპეციალობის ერთსაფეხურიანი სწავლების (5 წლიანი) სტუდენტი მარიკა გიორხელიძე 2006 წელს ჩაითვალა კურსდამთავრებულად და კვალიფიკაციის მისანიჭებლად დაშვებულ იქნა ფაკულტეტის საბჭოზე (ბრძანება №24/ს, 22.07.2006 წ.). საქართველოს ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის დირექტორის 2006 წლის 27 ოქტომბრის №43/ს ბრძანებით ბიზნესის და მართვის ფაკულტეტის საბჭოს 2006 წლის 26 ოქტომბრის სხდომის გადაწყვეტილებით მარიკა გიორხელიძეს მიენიჭა ფინანსები, საბანკო და საგადასახადო საქმის

დიპლომირებული სპეციალისტის აკადემიური ხარისხი და მიეცა დიპლომი ჩვეულებრივი.

საარქივო ცნობიდან ირკვევა, რომ კვალიფიკაციის მინიჭების ოქმები ტურიზმის განვითარების ინსტიტუტის ტურიზმის საერთაშორისო სკოლაში არ იძებნება. აქედან გამომდინარე, მიზანშეწონილია ხარისხის/კვალიფიკაციის მინიჭების გადაწყვეტილებათა თარიღად პირობითად განისაზღვროს საქართველოს ეკონომიკისა და სამართლის ისნტიტუტის დირექტორის მიერ ინსტიტუტის მიერ ერთსაფეხურიანი (5 წლიანი) სწავლების კურსდამთავრებულთათვის აკადემიური ხარისხის მინიჭებისა და დიპლომის გაცემის შესახებ გამოცემული ბრძანების თარიღი, ხოლო ნომრად ბრძანების ნომერი ინდექსის გარეშე, რომელსაც წილადის შემდეგ ნომრის პირობითობის აღსანიშნავად დაემატება ასო „პ“.

აზრი გამოთქვეს: პროფ. ქ. მარშავამ, ასოც. პროფ. ნ. პაიჭაძემ

გაიმართა კენჭისყრა:

კენჭისყრის შედეგები: **მომხრე - 28**
წინააღმდეგი - 0

დაადგინეს:

I. აღდგენილად ჩაითვალოს ყოფილი კომერციისა და მარკეტინგის ფაკულტეტის 2000 წლის მაგისტრატურის კურსდამთავრებულ კახაბერ ქაფიანის ხარისხის/კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილება, ამ გადაწყვეტილებაში არსებული ინფორმაცია და 2000 წლის 14 ივნისის სახელმწიფო საატესტაციო კომისიის შემაჯამებელი სხდომის ხარისხის/კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების რეკვიზიტები განისაზღვროს შემდეგნაირად:
   - ყოფილი კომერციისა და მარკეტინგის ფაკულტეტის მაგისტრატურაში „საბირჟო საქმის“ სპეციალობაში კურსდამთავრებულ კახაბერ ქაფიანისთვის ეკონომიკის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილება და 2000 წლის 14 ივნისის სახელმწიფო საატესტაციო კომისიის შემაჯამებელი სხდომის ოქმის თარიღად განისაზღვროს დიპლომში მითითებული თარიღი ***2000 წლის 14 ივნისი*** და ნომრად ***№14/3.***

II. აღდგენილად ჩაითვალოს თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის 2008 წლის კურსდამთავრებულთათვის (მ.შ. შოთა გოგიტაური და გაგა გოგნაძე) ხარისხის/კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილება და ამ გადაწყვეტილებაში არსებული ინფორმაცია:
   - თსუ რექტორის 2008 წლის 12 დეკემბრის №2017/01-04 ბრძანებით ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის 2008 წლის კურსდამთავრებულთათვის (მ.შ. შოთა გოგიტაური და გაგა გოგნაძე) აკადემიური ხარისხის მინიჭების თაობაზე მიღებულ გადაწყვეტილების

(ოქმის) თარიღად განისაზღვრს ***2008 წლის 12 დეკემბერი*** და ოქმის ნომრად ***№2017/3.***

- ზემოაღნიშნული პირობები გავრცელდეს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის კურსდამთავრებულთათვის შესაბამისი აკადემიური ხარისხის მინიჭებისა და დიპლომის გაცემის შესახებ თსუ რექტორის №2017/01-04, 12.12.2008 ბრძანებაში მითითებულ ყველა კურსდამთავრებულზე და მათ დიპლომებში ცვლილებები განხორციელდეს ინდივიდუალური მომართვის შემთხვევაში*(იხ. თსუ რექტორის ბრძანება „ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის კურსდამთავრებულთათვის შესაბამისი აკადემიური ხარისხის მინიჭებისა და დიპლომის გაცემის შესახებ“ - №2017/01-04, 12.12.2008)*.

III. აღდგენილად ჩაითვალოს საქართველოს ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის დირექტორის მიერ ერთსაფეხურიანი (5 წლიანი) სწავლების კურსდამთავრებულთათვის აკადემიური ხარისხის მინიჭებისა და დიპლომის გაცემის შესახებ ხარისხის/კვალიფიკაციი მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილება და ამ გადაწყვეტილებაში არსებული ინფორმაცია:

- საქართველოს ეკონომიკისა და სამართლის ისნტიტუტის დირექტორის მიერ ინსტიტუტის მიერ ერთსაფეხურიანი (5 წლიანი) სწავლების კურსდამთავრებულთათვის აკადემიური ხარისხის მინიჭებისა და დიპლომის გაცემის შესახებ 2006 წლის 27ოქტომბრის №43/ს ბრძანებით 2006 წლის კურსდამთავრებულთათვის (მ.შ. მარიკა გიორხელიძე) აკადემიური ხარისხის მინიჭების თაობაზე მიღებულ გადაწყვეტილების (ოქმის) თარიღად განისაზღვრს ***2006 წლის 10 ოქტომბერი*** და ოქმის ნომრად ***№43/3.***
- ზემოაღნიშნული პირობები გავრცელდეს საქართველოს ეკონომიკისა და სამართლის ისნტიტუტის დირექტორის მიერ ინსტიტუტის მიერ ერთსაფეხურიანი (5 წლიანი) სწავლების კურსდამთავრებულთათვის აკადემიური ხარისხის მინიჭებისა და დიპლომის გაცემის შესახებ №43/ს, 27.10.2006 ბრძანებაში მითითებულ ყველა კურსდამთავრებულზე და მათ დიპლომებში ცვლილებები განხორციელდეს ინდივიდუალური მომართვის შემთხვევაში*(იხ. საქართველოს ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის დირექტორის (რექტორის) ბრძანება №43/ს, 27.10.2006).*

2. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის მიზნობრივი სამეცნიერო-კვლევითი პროგრამების დასაფინანსებლად კონკურსის პირობებისა და ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ;

/ფაკულტეტის დეკანის მოადგილე ა. მიქაბერიძე/

ბ–მა ა. მიქაბერიძემ აღნიშნა, რომ მიზნობრივი სამეცნიერო-კვლევითი პროგრამების დასაფინანსებლად კონკურსის პირობებისა და ჩატარების წესის წარმოდგენილი ვერსია დაგზავნილი იქნა ფაკულტეტის საბჭოს წევრებისთვის გასაცნობად.

აზრი გამოთქვეს: პროფ. ა. მარშავამ, ასოც. პროფ. ნ. პაპაჩაშვილმა

გაიმართა კენჭისყრა

კენჭისყრის შედეგები: მომხრე – 28

წინააღმდეგი – 0

დაადგინეს:

1. შეტანილ იქნას შემდეგი ცვლილებები ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის მიზნობრივი სამეცნიერო-კვლევითი პროგრამების დასაფინანსებლად კონკურსის პირობებისა და ჩატარების წესში, კერძოდ:
   ა) მუხლი 2, კონკურსის თემატიკა და ბიუჯეტი, პუნქტი 8 - დაემატოს სიტყვა ,,ემერიტუსი“ და წინანადება დასრულდეს წერტილით;
   ბ) მუხლი 4, კონკურსში მონაწილეობა, პუნქტი 1 - დაემატოს სიტყვა ,,ემერიტუსი“;
   გ) მუხლი 4, კონკურსში მონაწილეობა, პუნქტი 3 - დაემატოს სიტყვა ,,ემერიტუსი“;
2. კონკურსის თემატიკა წარმოდგენილი და დამტკიცებული იქნას ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის შემდეგი კათედრების პროფილის შესაბამისად:
   - ეკონომიკის პრინციპების კათედრა;
   - ეკონომიკური პოლიტიკის კათედრა;
   - საერთაშორისო ეკონომიკისა და ეკონომიკურ მოძღვრებათა ისტორიის კათედრა;
   - მიკროეკონომიკის კათედრა;
   - მაკროეკონომიკის კათედრა;
   - ეკონომეტრიკის კათედრა;
   - ეკონომიკური და სოციალური სტატისტიკის კათედრა;
   - ფინანსებისა და საბანკო საქმის კათედრა;
   - ბუღალტრული აღრიცხვის და აუდიტის კათედრა;
   - საერთაშორისო ბიზნესის კათედრა;
   - მენეჯმენტისა და ადმინისტრირების კათედრა;
   - მარკეტინგის კათედრა;
   - ტურიზმისა და მასპინძლობის მენეჯმენტის კათედრა;
   - ეკონომიკასა და ბიზნესში ინფორმაციული ტექნოლოგიების კათედრა;

3. დამტკიცდეს სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის მიზნობრივი სამეცნიერო-კვლევითი პროგრამების დასაფინანსებლად კონკურსის პირობებისა და ჩატარების წესის წარმოდგენილი ვერსია შესწორებების გათვალისწინებით.

მოისმინეს: თსუ ეკონომიკის საერთაშორისო სკოლის კურსდამთავრებულებისთვის ხარისხის მინიჭების შესახებ.

/ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი ი. ნაცვლიშვილი/

მომხსენებელმა ი. ნაცვლიშვილმა აღნიშნა, რომ თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურში შემოსულია ფაკულტეტის სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსის, ქ-ნი ი. მშვენიერაძის წერილი (# 1369/29, 25.02.2015), რომლის თანახმადაც თსუ ეკონომიკის საერთაშორისო სკოლის შემდეგ კურსდამთავრებულებს დაგროვებული აქვთ შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული კრედიტები და მათთვის შესაძლებელია ეკონომიკის მაგისტრის ხარისხის მინიჭება: დიპლომი ჩვეულებრივი - ვაჰე ჰოვანისიან, სევაკ ალავერდიან, ანი ვარდანიან, ანაჰიტ ჰოვანისიან, გოჰარ ქარტაშიან, სუსანა გებირგიან, ფიდან ჰაჯიევა და ზაჰრა გამბაროვა.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით აზრი არავის გამოუთქვამს.

გაიმართა კენჭისყრა

კენჭისყრის შედეგები: დადებითი – 28;
წინააღმდეგი – 0.

დაადგინეს: მიენიჭოთ ეკონომიკის მაგისტრის ხარისხი თსუ ეკონომიკის საერთაშორისო სკოლის შემდეგ კურსდამთავრებულებს:

1. ვაჰე ჰოვანისიან (დიპლომი ჩვეულებრივი);
2. სევაკ ალავერდიან (დიპლომი ჩვეულებრივი);
3. ანი ვარდანიან (დიპლომი ჩვეულებრივი);
4. ანაჰიტ ჰოვანისიან (დიპლომი ჩვეულებრივი);
5. გოჰარ ქარტაშიან (დიპლომი ჩვეულებრივი);
6. სუსანა გებირგიან (დიპლომი ჩვეულებრივი);
7. ფიდან ჰაჯიევა (დიპლომი ჩვეულებრივი);
8. ზაჰრა გამბაროვა (დიპლომი ჩვეულებრივი).

მოისმინეს: ინფორმაცია საერთაშორისო სტუდენტური სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის „საქართველო-ისრაელის ურთიერთობები: „აგრობიზნესის ორგანიზაცია და მართვა" (სიღნაღი - 2015 წლის 20-21 სექტემბერი) ჩატარებასთან დაკავშირებით.

/თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ასოც. პროფ. გ. შიხაშვილი/

ბ–მა გ. შიხაშვილმა აღნიშნა, რომ 2015 წლის 20-21 სექტემბერს დაგეგმილია საერთაშორისო სტუდენტური სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის „საქართველო-ისრაელის ურთიერთობები: „აგრობიზნესის ორგანიზაცია და მართვა" ჩატარება, რომლის ორგანიზატორია თსუ-ს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სტუდენტური კვლევებისა და პროექტების ცენტრი „იდეა" და მასთან არსებული ისრაელის ეკონომიკის კვლევის ლაბორატორია.

ბ–მა გ. შიხაშვილმა საბჭოს წევრებს გააცნო კონფერენციის საორგანიზაციო კომიტეტის შემადგენლობა, მხარდამჭერები და ბიუჯეტი დაფინანსების წყაროების მიხედვით (კონფერენციის ბიუჯეტი - 17313 ლარი).

ბ–მა გ. შიხაშვილმა საბჭოს წინაშე დააყენა საკითხი ფაკულტეტის ბიუჯეტიდან კონფერენციის თანადაფინანსებისათვის 2500 ლარის ოდენობის გამოყოფის შესახებ.

აზრი გამოთქვეს: პროფ. თ. ბერიძემ, პროფ. ე. მექვაბიშვილმა

გაიმართა კენჭისყრა

კენჭისყრის შედეგები: მომხრე – 28

წინააღმდეგი – 0

დაადგინეს: თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ბიუჯეტიდან საერთაშორისო სტუდენტური სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის „საქართველო-ისრაელის ურთიერთობები: „აგრობიზნესის ორგანიზაცია და მართვა" (სიღნაღი - 2015 წლის 20-21 სექტემბერი) თანადაფინანსებისათვის გამოიყოს 2500 ლარი.

მოისმინეს: თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო პროგრამის დოქტორანტის დავით ნერგაძისთვის სწავლის საფასურის შეღავათის შესახებ.

/სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახურის უფროსიმ. ლობჟანიძე/

ქ–მა მ. ლობჟანიძემ აღნიშნა, რომ შემოსულია ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო პროგრამის დოქტორანტის დავით ნერგაძის განცხადება, რომელშიც ის ითხოვს 2014–2015 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრიდან სწავლის საფასურის შეღავათი განესაზღვროს წლიური სწავლის საფასურის 50%–ით, 1125 ლარის ოდენობით.

მ. ლობჟანიძემ საბჭოს წინაშე დააყენა საკითხი, როგორც ფაკულტეტის პერსონალ–დოქტორანტს დ. ნერგაძეს, განესაზღვრათ შეღავათი სწავლის საფასურის 50% ოდენობით (ფაკულტეტის სამეცნიერო საჭოს გადაწყვეტილების ოქმი #8, 19.11.2010 შესაბამისად).

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით აზრი არავის გამოუთქვამს.

გაიმართა კენჭისყრა

კენჭისყრის შედეგები: მომხრე – 28

წინააღმდეგი – 0

დაადგინეს: დავით ნერგაძეს, როგორც ფაკულტეტის პერსონალ–დოქტორანტს, 2014–2015 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრიდან სწავლის საფასურის შეღავათი განესაზღვროს წლიური სწავლის საფასურის 50%–ით, 1125 ლარის ოდენობით.

მოისმინეს: სსიპ თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სამეცნიერო ჟურნალის ,,ეკონომიკა და ბიზნესი" განახლების მიზნით შექმნილი სამუშაო ჯგუფის დამტკიცების შესახებ

/თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ასოც. პროფ. ე. ლეკაშვილი/

ქ–მა ე. ლეკაშვილმა აღნიშნა, რომ მოხდა უსიამოვნო ინციდენტი, კერძოდ ის, რომ რამოდენიმე დღის უკან სტატია სარეცენზიოდ გადაეცა ასოც. პროფესორს, რომელის გვარსაც ის არ ასახელებს. მან აღნიშნა, რომ პროფ. რ. გველესიანისგან ოყო ინიცირებული შეთავაზება, რომ ევროკავშირის თემატიკაზე სტატია სარეცენზიოდ გადმოსცემოდა ასოც. პროფ. ე. ლეკაშვილს, რაზედაც უარი ითქვა და აღინიშნა, რომ ასოცირებული პროფესორები აღარ არიან ჟურნალის ,,ეკონომიკა და ბიზნესი" სარედაქციო კოლეგიაში.

ქ–მა ე. ლეკაშვილმა აღნიშნა, რომ ამას მოჰყვა შემდგომ საკითხის შესწავლა, მან მოიძია დეკანის ბრძანება #01/29-01, 27.01.2015, სსიპ თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სამეცნიერო ჟურნალის ,,ეკონომიკა და ბიზნესი" განახლების მიზნით შექმნილი სამუშაო ჯგუფის დამტკიცების შესახებ, სადაც აღნიშნულია, რომ დამტკიცდა სსიპ თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სამეცნიერო ჟურნალის ,,ეკონომიკა და ბიზნესი" განახლების მიზნით შექმნილი სამუშაო ჯგუფის შემდეგი შემადგენლობით:

ა) რევაზ გოგოხია – ჟურნალი „ეკონომიკა და ბიზნესის" მთავარი რედაქტორი;
ბ) აკადემიკოსი ვლადიმერ პაპავა – უნივერსიტეტის რექტორი, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის პროფესორი;
გ) თეიმურაზ ბერიძე – ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი;
დ) აკადემიკოსი ავთანდილ სილაგაძე – ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის პროფესორი;
ე) ელგუჯა მექვაბიშვილი – ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის პროფესორი;
ვ) დავით ნარმანია – ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის პროფესორი;
ზ) ნოდარ ხადური – ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის პროფესორი;
თ) მანანა ლობჟანიძე – ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახური უფროსი;
ი) ლევან ჯღარკავა – ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დოქტორანტი.

ქ–მა ე. ლეკაშვილმა დასვა რამოდენიმე შეკითხვა: პირველი - რატომ არიან ფორმალურად შეყვანილი აღნიშნული ჟურნალის სამუშაო ჯგუფის შემადგენლობაში ის წევრები, რომლებიც არიან საჯარო მოხელეები, რომლებიც ვერ მიიღებენ რეალურად მონაწილებას ამ ჟურნალის განახლების პროცესში? მეორე - რატომ არ არიან შესული ის ადამიანები, რომლებსაც რეალურად შეუძლიათ მონაწილეობის მიღება ამ ჯგუფის მუშაობაში? მესამე - ადმინისტრაციული თანამდებობების გადანაწილებისას არ არის ბალანსი დაცული ბიზნესისა და ეკონომიკის წარმომადგენლების მონაწილეობის წილის მიხედვით, ასევე არ არის დაცული გენდერული ბალანსი - მამაკაცების მონაწილეობის წილი გაცილებით დიდია, ვიდრე ქალების. ასევე იგნორირებულია ასოცირებული პროფესორების თვალსაზრისები თუნდაც იმ გადაწყვეტილებით, რომლის მიხედვითაც ასოც. პროფესორები არ უნდა შევიდნენ სარედაქციო კოლეგიაში. მან აღნიშნა, რომ ყველა ეს საკითხი მიანიშნებს უფლებების დარღვევაზე და საჭიროა გარკვეული ცვლილებები შევიდეს აღნიშნულ ბრძანებაში, რათა დაუბალანსებელი პოზიციები დაბალანსდეს.

აზრი გამოთქვეს: პროფ. თ. ბერიძემ, პროფ. ქ. მარშავამ, პროფ. ს. გელაშვილმა, ას. პროფ. მ. ლობჟანიძემ, ასოც. პროფ. ი ნაცვლიშვილმა

აღნიშნული ინფორმაცია მიღებულ იქნა ცნობად.

თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტოს
საბჭოს თავმჯდომარე თ. ბერიძე

თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის
საბჭოს სწავლული მდივანი მ. ნაცვალაძე